ა(ა)იპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
10.01.2012 N 1
თბილისი

სტუ-ს აკადემიური საბჭოსა და სენატის
არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „არასამეწამეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 28 დეკემბრის №215 ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდებისა და „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 იანვრის №579 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (შემდეგში- არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და სენატის არჩევნები 2012 წლის 25 იანვარს.
2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება თითოეული ფაკულტეტიდან ორი წარმომადგენლით (სრული ან ასოცირებული პროფესორი).
3. სენატის შემადგენლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალიდან ორი წევრისა (სრული და ასოცირებული პროფესორი) და თითო სტუდენტის შემადგენლობით.
4. აკადემიური საბჭოს წევრებს ირჩევენ შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ-სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.
5. სენატში ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი, ხოლო სტუდენტების წარმომადგენლებს - ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი. ასისტენტ-პროფესორი, რომელიც იმავდროულად არის დოქტორანტი, უფლებამოსილია, საკუთარი სურვილით, მონაწილეობა მიიღოს შესაბამისად, ან აკადემიური პერსონალის ან სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევაში, რისთვისაც იგი ვალდებულია წინასწარ, არა უგვიანეს 2012 წლის 20 იანვრისა, წერილობით აცნობოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ამომრჩეველთა შესაბამის სიაში რეგისტრაციის მიზნით.
6.აკადემიური საბჭოს წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, რომელსაც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობა.

7. სენატის წევრის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტების დეკანებს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, აკადემიური საბჭოს წევრს.

8. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2012 წლის 13 იანვრიდან და დასრულდეს 2012 წლის 20 იანვარს.

9. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკურ უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობის/უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ.

10. ფაკულტეტის საბჭოებმა 2012 წლის 13 იანვრამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

11. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (ქ.ქოქრაშვილი) უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა ფაკულტეტის საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

12. არჩევნები ჩატარდეს შესაბამის ფაკულტეტებზე.

13. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

14. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

15. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე და უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

16. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზა:

იურიდიული დეპარტამენტის

უფროსი: *ბ.მაისურაძე*